ქ. თბილისი 11.06.2019

თანხმობა

მე, არქიტექტორი ვლადიმერ აბრამიშვილი (პ/ნ:01011025815) როგორც ქ. თბილისში, ისნის ქ. N18-ში არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:01.17.01.111.004) 2014 წლის 13 ივნისის №1306215 ბრძანებით შეთანხმებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის ავტორი, ვუცხადებ თანხმობას არქიტექტორ გიორგი გრიგოლიას (პ/ნ:42001040113) და საპროექტო-არქიტექტურულ კომპანია შპს „აი მაქს გრუპს" (ს/კ:405314306) მასზედ, რომ ნებისმიერი სახით გამოიყენონ აღნიშნული პროექტი, მოახდინონ მისი კორექტირება, შეიტანონ მასში ნებისმიერი სახის ცვლილება და შეათანხმონ იგი ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოსთან. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სამომავლოდ არ განვაცხადებ რაიმე სახის პრეტენზიას.

პატივისცემით,

ვლადიმერ აბრამიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190666848
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.06.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლანა ხანიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო, ქალაქი თბილისი, პეკინის გამზირი, N15
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995595272888
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	39842759581119

ორი ათას ცხრამეტი წლის თერთმეტ ივნისს, მე, ლანა ხანიშვილი, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, პეკინის გამზირი, N15, ვამოწმებ წინამდებარე დოკუმენტზე სრულწოვანი და ქმედუნარიანი პირის ვლადიმერ აბრამიშვილის(დაბ. 14.09.1981წ. თბილისში, პ/ნ 01011025815, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ძველის ქუჩა, N 20) ხელმოწერების ნამდვილობას, რომლებიც შესრულებულია ხელმომწერი პირის მიერ პირადად, ნოტარიუსის თანდასწრებით, მას შემდეგ რაც მას განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე 2 (ორი) ლარი ელექტრონული სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 4 (ოთხი) ლარი.

ნოტარიუსი
ლანა ხანიშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადაცემა შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: -995(32) 2 66 19 18